პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 აგვისტო, ოთხშაბათი 1973 წელი 2 ფურ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 179 (15696)

120.000 ტონა მარცვლეულისათვის

სწრაფად, უდანაკარგოდ

„კომუნისტის“ ვიმპელები—კომბაინერებს!

ბორი. შინდისის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა ა. ლაგუმაშვილმა, რომელიც იჯიბრება ო. ბამსახურდაშვილს, პორეული მომა 12,6 ჰექტარზე და გალეწა 245 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა და მუდმივად მას დარჩა.

მცხეთა. საგურამოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა ვასილ სულაშვილმა, რომელიც იჯიბრება გალაქტიონ ერისპირომენტაული საბჭოთა მეურნეობის კომბაინერს ივანო ბიკარაშვილს, ერთ დღეს მომა 10 ჰექტარი და გალეწა 147 ცენტნერი მარცვალი. მან „კომუნისტის“ ვიმპელი დაიმსახურა.

თეთრი წყაროს. თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა რ. ამირხანიანმა, რომელიც იჯიბრება ზ. მარქარიანს, პორეულის მოსავალი აიღო 8 ჰექტარზე და გალეწა 254 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას გადაეცა.

ხაშური. ზემო ქართლის კოლმეურნეობის კომბაინერმა ა. მეტრეველმა, რომელიც იჯიბრება ვ. მოსიაშვილს, პორეული მომა 10 ჰექტარზე და გალეწა 274 ცენტნერი მარცვალი. მას „კომუნისტის“ ვიმპელი მეორეჯერ გადაეცა.

დმანისი. მაშავერას კოლმეურნეობის კომბაინერმა გ. სიმონიანცმა, რომელიც იჯიბრება კომბაინერ ვ. ყავლეიშვილს, პორეულის მოსავალი აიღო 10 ჰექტარზე და გალეწა 298 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა და მუდმივად მას დარჩა.

ქარელი. ფცის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა ნ. ქვენაშვილმა, რომელიც იჯიბრება ს. ლომერიძეს, პორეულის მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე და გალეწა 510 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას გადაეცა.

ბურჯაანი. ნინიანის კოლმეურნეობის კომბაინერმა მ. ქიზიყურაშვილმა, რომელიც იჯიბრება ვ. სოლოლაშვილს, პორეულის მოსავალი აიღო 11 ჰექტარზე. გალეწა 350 ცენტნერი მარცვალი და „კომუნისტის“ ვიმპელის მფლობელი გახდა.



ხუთი დღის გეგმა ოთხ დღეში!

ინიციატორის ხაჭვა

სამშაო ზონის გაფართოებისათვის არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოუჩენიათ ჩვენს საწარმოო კოლექტივებში. მაგრამ ისეთი ნაყოფიერი არც ერთი არ ყოფილა, როგორიც იყო თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მზია არათანაშვილის ინიციატივა, რომელიც ხუთი დღის ნორმის შესრულებას ოთხ დღეში ითვალისწინებდა. ინიციატორი ნორმით გათვალისწინებული 3 მანქანის ნაცვლად ხუთ მანქანაზე გადავიდა სამუშაოდ და გეგმების ორმაგად შესრულება დაიწყო.

არათანაშვილის ინიციატივამ დიდი სიკეთე მოუტანა საწარმოს. ამის მაგალითად გამოდგება ასეთი ფაქტი: თუ წინათ ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 3.500 კილოგრამი ნართის გამოსაშვებად 50-55 მრთველის შრომა იყო საჭირო, ახლა ეს რაოდენობის პროდუქციას 35-37 მრთველი თავისუფლად ამზადებს.

ინიციატორი და მისი მიმდევრები ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ. ხუთი დღის ნორმებს ოთხ დღეში ასრულებენ ლ. ტეგეტაშვილი, ნ. დიმელაშვილი, ე. ფომინოვა, ლ. სლავსკაია, ლ. ქისტაური, ზ. მაესურაძე და სხვ. მარტო მ. არათანაშვილმა ინიციატივის გამოჩენის დღიდან უკვე გამოუშვა 16.900 კილოგრამი ზეგეგმითი ნართი, მისი ყოველდღიური ნორმების შესრულების საშუალო მაჩვენებელი 131,4 პროცენტია.

ინიციატორისა და მისი მიმდევრების კარგი მუშაობის შედეგია ის, რომ კომბინატმა მიმდინარე წლის ნახევარში გეგმის გადამეტებით 53,4 ტონა ნართი გამოუშვა, დაამზადა 150 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და მოახდინა 661 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, მიიღო 57 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

დროს გაუსწრეს

თბილისი. 23 ივლისისათვის შესრულდა მომდინარე წლის შვიდი თვის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება, უპატაჟა სამშობლოს თბილისის ქარხანა „ელექტრომრავის“ (დირექტორი ტ. კახიანი, პარტბიუროს მდივანი ა. კანდელაკი) კოლექტივმა.

საწარმომ განვლილ პერიოდში გამოუშვა 1.877 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 1.853 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. ეს მაჩვენებლები უკვე აღემატება შვიდი თვის გეგმით გათვალისწინებულს.

ქარხნის კოლექტივმა თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში დამატებით გამოუშვა 125 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხარისხისნიშნიანი პროდუქცია

ტაგანროგი. ფაბრიკის (დირექტორი ი. ერისთავი) კოლექტივი, რომელიც ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გამოვიდა ინიციატორად — გამოუშვას მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია და მინიმუმამდე შეამციროს არასაწარმოო ხარჯები. თანხლები პირობას ასრულებენ. მიმდინარე წლის გასულ პერიოდში ქალის ხელჩანთის ოთხ მოდელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ახლა ეს პროდუქცია მასობრივად გამოდის და მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

პროდუქციის მაღალ ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის დავალებას 40 ათასი მანეთით გადაჭარბა, საერთო პროდუქციის დავალება 103,4 პროცენტით გაანადგა, ხოლო ნატურაპროდუქციისა — 102,8 პროცენტით. საერთოდ, პროდუქციის გამოშვება და მისი რეალიზაცია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრძნობლად გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,8 პროცენტით აამაღლეს, მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და წლის პირველ ნახევარში 15 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. მასალებისა და ნედლეულის ყაირათიანად ხარჯვის შედეგად დაზოგილია 5 ათასი მანეთი.

ფაბრიკის კოლექტივმა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაძლიერა შრომის ტემპი. შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა წუნს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ აქ პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის დავალება 25 იულისისათვის შესრულეს. თვის ბოლომდე დამატებით გამოუშვეს 25 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინეს მისი რეალიზაცია.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში ასრულებენ, მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ მკერავები ტ. ფეიერხშვილი, ე. სანოძე, ლ. ზამთარაძე, ვ. ერაძე.

285.000 ტონა ჩაისათვის

გუშინ ჩაის პლანტაციებში

გეგეჭკორი

მიუხედავად ცუდი ამინდისა, გეგეჭკორის რაიონის მეწაიეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ დაბავენ ჩაის ფოთოლი. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილია 10.235 ტონა ჩაის ნედლეული. ეს წლიური გეგმის 86,8 პროცენტია, ხოლო შარშან ამავე პერიოდთან შედარებით 1.455 ტონით მეტია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სერგეთის კოლმეურნეობა „განთიადი“. აქ ფოთლის კრეფის მაის-ივნისისა და ივლისის გეგმა 169 პროცენტით შეასრულეს, მოკრიფეს 526 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ასევე დაწინაურდნენ და ფოთლის კრეფის სამი თვის გეგმა გადაჭარბებით გაანადგეს ინჩხუთის, კურზუსა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობამ.

ფოთლის მიღება-გადამუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს დიდი ჭყონის № 1 და № 2, ბანძისა და ბგზეეკორის ჩაის ფაბრიკებში.

გუშინ რაიონში მოიკრიფა და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარდა 110 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. მათ შორის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 35 ტონა, ხოლო სერგეთისა და ინჩხუთის კოლმეურნეობებმა — სამ-სამი ტონა.

ლანჩხუთი

ლანჩხუთის რაიონის მეწაიეებმა ფოთლის კრეფის ხეზონის დაწყებიდან კარგი ტემპი აიღეს. ამის შედეგად გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილი ფოთლის ჩაბარეს 10.200 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც შარშანდელთან შედარებით 250 ტონით მეტია. მარტო ერთ დღეს, გუშინ, მოიკრიფა 150 ტონა ფოთოლი. სულ რაიონში ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 88,2 პროცენტით.

ფოთლის შეუფერხებლად კრეფენ ლესის კოლმეურნეობის მშრომელები. მათ რაიონში ყველაზე ადრე შეასრულეს 3 თვის გეგმა. ასევე გადაჭარბებით გაანადგეს ჩაის ნედლეულის კრეფის სამი თვის გეგმა და ივლისის დღეებში აგვისტოს ანგარიშში კრეფენ ფოთოლს ახალსოფლის, ლაშისღელის, ქვემო ჩიბათის, ეწერისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, ლანჩხუთის საბჭოთა მეურნეობა.

ბ ა ლ ი

სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაბლის, ფოთლის ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად გალეფილმა მშრომელებმა გუშინდელი დღის ჩათვლით მოკრიფეს 20.820 ტონა ჩაის ნედლეული. ეს წლიური გეგმის 90 პროცენტს შეადგენს. მარტო გუშინ მოიკრიფა 190 ტონა ფოთოლი. რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა წელს ხეზონში სამშობლოს მისცეს 29.560 ტონა „მწვანე ოქრო“.

მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ მთელ რაიონში გაიარა ხეელი. აქ უკვე შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოიკრიფა 410 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 350 ტონისა. ახლა ვალდებულების ანგარიშში ყოველდღე ტონობით ფოთოლს კრეფენ.

ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და ახლა ვალდებულების ანგარიშში კრეფენ მეგობრობის, მზიურის ჩაის, ჭუბერხინჯის ი. ბ. სტალინის სახელობის, სიღის ცხაკაიას სახელობის, ქვედა ბარღების საბჭოთა მეურნეობები, ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

ს ო ბ ი

წელს ცუდმა ამინდებმა ერთვვარად შეაფერხა პლანტაციის მოვლა-პატრონობა, შემოსული ფოთლის კრეფა. მიუხედავად ამისა, ხობის რაიონის მეწაიეებმა ყველაფერი იღონეს სიძნელეების დასაძლევად, გუშინდელი დღის ჩათვლით რაიონში მოკრეფილია 4.000 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 93 პროცენტს და ვალდებულების 76,2 პროცენტს. გუშინ, მუხედავად წვიმიანი ამინდისა, მოიკრიფა და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარდა 60 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ წინ მიდის ნაჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა. აქ წლიური გეგმით უნდა მოკრიფოს 200 ტონა ფოთოლი, ფაქტიურად უკვე მოკრეფილია 215 ტონა ჩაის ნედლეული. ახლა ნაჯიჯაოელები ვალდებულების ანგარიშში ყოველდღე ტონობით ფოთოლს კრეფენ.

ზემოსულ ფოთოლს დარში და ავდარში უდანაკარგოდ იღებენ პირველი მაისის, ნოჯიხევის, ბიის, ახალი ხიბულის, ძველი ხიბულისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ხობის მეცხოველეობის სანაშენე, ხიბულის, ხობისა და განთიადის საბჭოთა მეურნეობებში.

120.000 ტონა მარცვლეულისათვის

გეგმაც, მოგეგაც

ბიათურა. (ხაკ. კორ.). ბიათურელმა მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს შვიდი თვის დავალება. აღსანიშნავია, რომ მათ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ნახევარ წელიწადში დაზოგეს 587 ათასი მანეთი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციით საშუალოს მისცეს 2.714 ათასი მანეთის ზეგეგმა, საიდანაც 884 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

აგვისტოს ანგარიშში უკვე ათასობით ტონა მარგანეცი გაუგზავნეს მეტალურგიულ ქარხნებს ლენინის, სტალინის, კალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის და ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივებმა.

სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაწლის შედეგად, ბიათურელი მაღაროელები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ ხუთწლედის გადამწყვეტი წლის მეორე ნახევარშიც შეინარჩუნონ აღებული ტემპი და ვადამდე შეასრულონ წლიური დავალება.

შენდება სასოფლო გზები

ამბროლაური. (ხაკ. კორ.). საგზაო-საწარმოო უბნის (უფროსი პ. ბაკურაძე) კოლექტივი, რომელიც ხუთწლედის მესამე წლის დამკვრელურ შრომითს ვახტზე დგას, წარმატებით ანაღდებს სასოფლო გზების მშენებლობის სახელმწიფო დავალებას. უბანმა მიმდინარე წლის ექვსნახევარ თვეში 203 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა და გეგმას 11,5 პროცენტით გადაჭარბა.

დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მთიანი სოფლების ხოტევი-ვეღელეთის 4 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, რომელიც მეტად რთულ რელიეფზე გადის. ასრულდა ამ სოფლების მეჩხოვრებთა საუკუნოვანი ოცნება. ცისფერ ავტობუსებს აქ ყოველდღიურად ასობით მგზავრი გადაყავს.

უბნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სასოფლო გზების შესაკეთებლადაც. მშენებლებმა კაპიტალურად შეარემონტეს 10 კილომეტრი გზა, ხოლო საშუალო რემონტი ჩაუტარეს 6 კილომეტრ სასოფლო გზას. სოფელ ხოტევში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კაპიტალური ხიდი. მალე დამთავრდება კიდევ ორი საავტომობილო ხიდის მშენებლობაც.

ახალი მიღწევებისაკენ კომუნიზმის საღიდებლად

რუსეთის ფედერაციას გადაეცა „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში, 31 იულისს გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა რესპუბლიკის შრომელთა წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა რუსეთის ფედერაციისათვის „ხალხთა მეგობრობის“ ორდენის გადაცემას.

გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნინს, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ბ. ნ. დემიჩევს, ვ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს.

მათთან ერთად პრეზიდიუმში ბრიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა მოადგილენი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილენი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს.

რუსეთის ფედერაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით. ჩვენი შობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი უდიდესი მადლიერების და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით, დიდი სიხარულის, სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღიქვამენ რუსეთის ფედერაციის მშრომელნი ამ მაღალ ჯილდოს.

საზეიმო სხდომა გახსნილად ცხადდება. ეკერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

დარბაზში შემოაქვთ რუსეთის ფედერაციის დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა. მათ ახლავს. რუსეთის სფსრ 16 ავტონომიური რესპუბლიკის, ხუთი ავტონომიური ოლქის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

ხურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნინი ორდენს ამაგრებს რუსეთის ფედერაციის დროშას.

ნასადესი (მიღებულია ხაქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

უდიდესი კმაყოფილებით ვასრულებ მაღალ და საპატიო მისიას — გადავცე „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას. ნება მიბოძეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა რუსეთის ყველა მშრომელს სამშობლოს დამსახურებული ჯილდო, სიამოვნებით ვასრულებ, ძვირფასო ამხანაგებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის თხოვნას — მისი სახელით მხურვალედ მოგილოცოთ რესპუბლიკის მშრომელებს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა! (ხანგრძლივი ტაში).

ღირსშესანიშნავი იუბილეს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის გამო დაარსებული „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი სამართლიანად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ამ მაღალი სახელმწიფო ჯილდოების თანავარსკვლავედში, რომლებიც ამშვენებენ რუსეთის ფედერაციის დროშას. ამ ორდენების კიაფში ირეკლება ქვეყნად ახალი ცხოვრების განთიადი, პარტიისა და ხალხის იდეალების ტრიუმფი, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მიერ განვლილი დიდი გზის ეტაპები. ისინი გამოხატავენ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს უსაზღვრო მადლიერებას დიდი რუსი ხალხისადმი მისი ისტორიული გმირობისათვის, იმ დიდი შრომისა და ზრუნვისათვის, რომელიც მან იკისრა ჩვენი დიადი მიზნის მისაღწევად, მისი ბედშარიტად ფასდაუდებელი წვლილისათვის საბჭოთა სამშობლოს განვითარებაში. (ხანგრძლივი ტაში).

რუსეთის ჯილდოებს შორის პირველია ორი ლენინის ორდენი. ქვეყნის უმაღლესი ჯილდო სამორადისოდ აღბეჭდავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ბელადის, იმ ადამიანის სახეს, რომლის სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის ახალი ერის, კაცობრიობის სოციალური განახლების ერის დადგომა.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი რუსეთის სფს რესპუბლიკის დროშაზე სიმბოლურად გამოხატავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ყოვლისმძლე ძალას, ეკსპლოატატორთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის დამხობას. მშრომელი ადამიანის განთავისუფლებას, რომელიც თავისი ქვეყნის სრულფფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა, მამაცობასა და გმირობას სოციალიზმის მონაპოვართა დაცვაში.

ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელიც ორგანულად ავსებს რუსეთის ფედერაციის ჯილდოების საგანძურს, განასახიერებს ახალი კომუნისტური ცივილიზაციის შექმნის გზაზე საერთო მიზნებითა და ინტერესებით გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა დიდ ძმობას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა გამოწერთო შრომასა და ბრძოლაში, გაუძლო სმტკიცის არაერთ შემოწმებას, განსაცდელიდან განსაცდელამდე მტკიცდებოდა და ამყარდა მსოფლიოს წინაშე წარსდგება როგორც ყველა ეროვნებისა და რასის მშრომელთა მომავალი ურთიერთობის ბირველსახე. „ეს მეგობრობა — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენი ფასდაუდებელი მონაპოვარია, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია სოციალიზმისა. და ამ მეგობრობას ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მუდამ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით“! (ტაში).

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის ეუბილემ ერთხელ კიდევ დაადასტურა სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. მისი დღესასწაულობა გადაიქცა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, თვითეული რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევების მკაფიო დემონსტრაციად.

როგორც დიდ საოჯახო ბჭობაზე, ჩვენი მომქმე ხალხები ამ დღეებში აღთქმას დებდნენ დედასამშობლოს წინაშე, პარტიის წინაშე, რესპუბლიკების დიადი კავშირის წინაშე.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციასთან ერთად ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ეროვნული ოკრუგები. ეს მაღალი შეფასებაა მათი წვლილისა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებაში, ხალხთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში, აღიარებაა მათი დამსახურებისა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ამ საზეიმო დღეს ძმურად მივულოცო ჩვენი საპატიო კუნების სახელით რუსეთის ფედერაციის ხალხთა მთელ ერთსულოვან ოჯახს, მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებს ეს ჯილდოები და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმისათვის ბრძოლაში! (ტაში).

ბევრი რამ, რაც წარსულს ბარდება, რასაც წელთა სიშორე შლის და აჭრობს, მხოლოდ ისტორიის კუთვნილება ხდება. მაგრამ არის მოვლენები, რომლებიც არ ემორჩილებიან დროს, ათეული წლების შემდეგ ისინი თითქოს იზრდებიან, კაცობრობის წინაშე დგებიან მთელი თავიანთი სიგრძე-სიგანით. სწორედ ასეთი მოვლენა იყო სსრ კავშირის — საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო კავშირის შექმნა, რაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს

დიდ მადლობას გიძღვნით პირადად ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით თქვენი აღმატებულებების მეგობრული წერილებისათვის ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურად და პრემიერ-მინისტრად ჩემი არჩევის გამო. გამოვთქვამ იმედს, რომ დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ბედნიერად არსებობს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, დღითიდღე განმტკიცდება და ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში კიდევ უფრო განვითარდება ჩვენი ხალხებისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება — პირველს ეცნო ავღანეთის რესპუბლიკა — იწვევს ჩემი, ჩემი კოლეგებისა და ავღანეთის რესპუბლიკის ხალხის მადლიერების გრძნობას.

პირადად ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მეგობარ და მეზობელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, აგრეთვე გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობას.

მუჰამედ დაუდი

დიდი ინტერესი მთელ მსოფლიოში

მსოფლიო პრესა უირიმის მეგობრული შეხვედრების შესახებ

მთელი მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები და საზღვარგარეთის ქვეყნების პრესა იუწყებიან, რომ ყირიმში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ მომქმე ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

განმარტავს რა ცნობას ყირიმის შეხვედრის შესახებ, უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი წერს: „ერთი წლის წინთ, გასული წლის 31 ივლისს, სოციალისტური ქვეყნების პარტიათა ხელმძღვანელებმა ყირიმში გამართეს ერთი დღის თათბირზე. შემოშვეულ მოქმედების ერთიანი ხაზი, რასაც უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი სოციალისტური დიპლომატიის ეფექტიანობის თვალსაზრისით“.

„შეეხო რა მომქმე პარტიების ხელმძღვანელთა წინა აზრთა გაზიარების დიდ მნიშვნელობას, უნგრეთის ტელევიზიის პოლიტიკურმა მიმოხილველმა აღნიშნა, რომ ახალი შეხვედრა ყირიმში იქნება ჯერეკ ერთი ნაბიჯი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეთანხმებული რეალისტური პოლიტიკის შემუშავების გზაზე.

ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა დიდი სათაურებითა და ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე დაბეჭდეს ცნობები ყირიმის შეხვედრის დაწყების შესახებ. (საკადესი, 31 ივლისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მიღწევებისაკენ კომუნიზმის სადიდებლად

(დასასრული).

ყველა ხალხის რევოლუციურ შემოქმედებას რუსეთის მუშათა კლასის მეთაურობით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. (ტაში).

ამ კავშირის ბირთვი იყო რუსული ფედერაცია. სწორედ აქ პრაქტიკულად ჰპირველად შეიძინეს მრავალეროვანი სახელმწიფოს ფარგლებში ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ფასდაუდებელი გამოცდილება. და ამაში არის თავისი კანონზომიერება, ღრმა ისტორიული ლოგიკა. რუსეთში ოდითგანვე იყრიდა თავს ხალხთა გამაერთიანებელ მოძრაობათა ძაფები. აქ იყო ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი კერები. თვითმპყრობელური დესპოტიზმის წარმოუდგენელად ძნელი პირობების მიუხედავად, პროგრესულმა რუსულმა აზროვნებამ შეისისხლხორცა უკეთესი ხვედრისათვის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლის უდიდესი გამოცდილება. ყოველივე მოწინავე, ნამდვილად ხალხური, რაც ქვეყნის ეროვნულ განპირა მხარეებში იბადებოდა. მუდამ მიიტაცოდა რუსეთისაკენ, რუსი ხალხისაკენ.

რუსი ხალხის საუკეთესო შვილებმა, რომლებმაც რევოლუციურ მოძრაობასთან გაერთიანეს ბევრი შესანიშნავი ეროვნული თვისება, თავიანთი გონება, ნება და ენერგია მთლიანად დაუქვემდებარეს ქვეყნის სოციალური გარდაქმნის საქმეს, მთელი კაცობრიობის პროგრესის საქმეს. ახლანდელი საუკუნის მიჯნაზე რუსეთის მუშათა კლასი თანასინი და მთავარი მამოძრავებული ძალა გახდა ექსპლოატატორული საზოგადოების თვითნებობისა და უფლებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინმა, როცა რუსეთის რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობას ანალიზებდა, გამჭრიახად იწინასწარმეტყველა. თუ „რაოდენ დიდი იქნება სოციალისტური როლი-ველოციერსსოფოლ პროლეტარიატისა, როგორც კომუნისტური რევოლუციის მთავარი მამოძრავებელისა“. რუსეთის ბოლშევიკთა პარტიამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა. რუსი ხალხი, რომელსაც სხვა საბჭოთა ხალხები თავიანთ უფროს ძმას უწოდებენ, უანგარო დახმარებას უწევდა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს და ამავე დროს ეყრდნობოდა მათს დახმარებასა და მხარდაჭერას სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. საბჭოთა რუსეთი, რომელიც განვითარებული სოციალიზმის არნახულ მწვერვალებს დაეუფლა, ქვეყნის ყველა რესპუბლიკასთან ძმური კავშირით, თანასწორთა შორის პირველი, მტკიცედ უკაფავს კეთილდღეობის კომუნისტური მომავლის გზას. (ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი წინსული ახალი საზოგადოების მშენებლობის გზით ხუთწლედების ნიშანსვეტებით აღინიშნება. ყოველი მათგანი წარმოადგენს გარკვეული მიჯნის მიღწევას და ამავე დროს ამოსავალი პუნქტი ხდება ახალი მიზნებისათვის ბრძოლაში. განვლილია მეცხრე ხუთწლედის ნახევარი. ამ წლების საერთო შედეგები, ჩვენი წინსული და ნაკლოვანებანი, კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც პარტია უსახავს სახალხო მეურნეობას ხუთწლედის მეორე ნახევარში, დაწვრილებით გაანალიზა ამ დღეებში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლებში მოძმე უკრაინის სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისას და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე კიევში. ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი განუხრელად იზრდება. ომჯობესდება მთელი მეურნეობის თვისებრივი მახასიათებლები. წარმატებით ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევები.

მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს. პარტიის მოწოდებამ — ლენინწმინდა 1973 წელი დამკვრელური შრომით — ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა ჰპოვა და ჯულში ჩასწევდა თვითეულ საბჭოთა მშრომელს. სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რომლიც ვაჭალა სოფლებსა და ქალაქებში, ცალკეულ საწარმოო უბნებზე და მთელ დარგებში. წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შესრულა ყველა მოკაშირე რესპუბლიკამ. შეიქმნა უხვი მოსავლის მტკიცე საფუძვლები.

საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გადაწყვეტაში, ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთის ფედერაციის. სახალხო-ტაბიური ანგარიშების ლოკომოტივი სტრიქონების მიღმა ნათლად ჩანს მისი სახელოვანი მშრომელების საქმეები და მოღწეულები. წარმატებით შესრულდა მერ წელ ომნიშვნელოვანეს სახლობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის დაგეგმვანი და სოციალისტური გალიებულები. შესამჩნევად გაზარდა ტვირთის გადაზიდვა ყველა სახეობის ტრანსპორტით, ადიდდა საკალო სპორტებრნა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, თანამეორეული პირობებში, სამეურნეო მშენებლობის საკანონმდებლო საკითხია შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ამიტომ დიდ ყურადღებას იჩენენ ის ფაქტი, რომ შრომის ნაყოფიერება რუსეთის ფედერაციის მრეწველობაში ამ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გაზარდა 5,5 პროცენტით გეგმით დასახული 5 პროცენტის ნაცვლად. რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად? ეს ნიშნავს, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში პროდუქციის მატების 84 პროცენტი მიღებულია სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდიდან ხარჯზე. ასეთი მაჩვენებლები მიღწეულია სერიოზული ორგანიზატორული მუშაობის, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის ამაღლების, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის და, რა თქმა უნდა, შემოქმედებითობით, თავდადებული შრომის მეოხებით. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები ყველაფერს იქნებიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლის ავანგარდში. (ტაში).

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა არ დაიშურეს ძალ-ღონე, რათა კარგი მოსავალი მოეყვანათ. ახლა მთელ ქვეყანაში დაიწყო მარცვლეულის აღება. ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგისპირეთის, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქებისა და რუსეთის სხვა პირველი რაიონების თვალუწვდენელ ყანებში ვაჭალებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ახალი მოსავლის პურისათვის, თვითეული თავთავისათვის, თვითეული მარცვლისათვის, რაც მოწამოქმედთა ენერგია მეცნიერულად აქვს მოყვანილი. მინდა გამოვთქვა რწმენა, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ჩვენი შესანიშნავი მექანიზატორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, ყველანი, ინც დღეს მოსავლისათვის იბრძვიან, კიდევ ერთ შრომით ბრძოლას ბრალებას მოიპოვებენ. (ტაში).

ხუთწლედის განვლილი ნახევარი ჩვენთვის მარტო მიღწევებითა და წარმატებებით როდი აღინიშნა. ეხოვრებამ დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო, რომლებიც ნაკლოვანებანი, რომლებიც უნდა დაძლეოთ. მხოლოდ თვითეული საწარმოო კოლექტივის, თვითეული მშრომელის შეუპოვარი დაძაბული მუშაობა მოგვცემს საშუალებას შეასრულოთ ხუთწლედი მთლიანად.

შეუნელებელ ყურადღებას უთმობს რა ეკონომიკის განვითარებას, სოციალისტური წარმოების სრულყოფის ამოცანებს, პარტია ამასთანავე დღენიადაგ თვალთახედვის არეში აქვს მშრომელთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისა, სკკ XXIV ყრილობის მიერ დასახული ხუთწლედის სოციალური პროგრამის შესრულების საკითხები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამას წინათ დამოკიდებული მეეკვსე სესიის მუშაობაში მთავარი ადგილი ეჭირა საკითხს, რომელიც პირდაპირ ეხება თვითეულ ოჯახს, — ქვეყნის სახალხო განათლების შემდგომი განვითარების გზებს. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც კანონმდებლობრივად ამკვიდრებენ საბჭოთა განათლების სისტემის ძირითად პრინციპებს, წარმოადგენენ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს ახალაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში, საბჭოთა ადამიანების ინტერესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბაუცხრომელი ბრძოლის ახალი დადასტურებაა.

ხუთწლედის სოციალური პროგრამის შესრულების ამოცანებს მთლიანად ექვემდებარება აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი, რომელიც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე განიხილეს. დასახულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, და ახლა საჭიროა თანმიმდევრულად განვახორციელოთ ისინი. აქ ბევრი რამ უნდა გაკეთონ ახლად არჩეულმა ადგილობრივმა საბჭოებმა, მაგრამ ალმასკომებმა, მუდმივმა კომისიებმა და, რა თქმა უნდა, თვით ხალხის რჩეულებმა — საბჭოების დეპუტატებმა. კანონზომიერია, ამხანაგებო, რომ ისეთი პრობლემა, როგორიც არის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, აყვანილია საერთო-სახელმწიფო, საყოველთაო-სახალხო ამოცანის დონეზე, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განხილვის საგანი ხდება. სწორედ ის არის სოციალისტური საზოგადოების არსი, რომ ყოველი საკითხი, რომელიც მშრომელთა ინტერესებს ეხება, მუდამ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში დგას ყველა დონეზე. ზრუნვა ადამიანისათვის, მისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობებისათვის, მისი თვიზიკური და სულიერი სრულყოფისათვის — აი რა განსაზღვრავდა ზედამ და განსაზღვრავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხების ძირითად მიმართულებებს! (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირისა და რუსეთის სსრ უმაღლესი საბჭოების სესიებმა, ამას წინათ გამართულმა ურავანის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებამ, პარტიულ-სამეურნეო აქტივებმა, მშრომელთა მრავალრიცხოვანმა კრებებმა ახალი ძალით დაადასტურეს, რომ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს. რომელთა დამუშავება და განხორციელება ხდება პარტიის ხელმძღვანელობით, საუსტით ოწონებენ საბჭოთა ადამიანები. ამ წარმომადგენლობითმა, ავტორიტეტულმა ფორუმებმა ასახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მშრომელთა ერთსულოვანი, მონოლითური შეკავშირების ის ატმოსფერო, რომელიც დღეს ჩვენი უკადეგანო საბჭოთა ოჯახის ყველა კოთხეში სუფევს (ხანგრძლივი ტაში).

რა თქმა უნდა, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა „ცოცხა ბანაკ“ როდია. იგი ახალი ფორმაციის ადამიანის აღზრდისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი, ჭეშმარიტად ტიტანური საქმიანობის შედეგია. ერთიანი სახელმწიფოებრივ კავშირში. ჩვენი ქვეყნის ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ეროსა და ეროვნების მჭიდრო თანამშრომლობის კანონზომიერი შედეგია. ახდა მარქსის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ ადამიანები აიხლეჩენ საკუთარ თავს ამ ზომით. რა ზომითაც ისინი აიხლეჩენ სიმდიდრის ამ სამყაროს, რომელსაც ქმნიან. და ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ. ჩვენი საზოგადოების განვითარებასთან ერთად როგორ იცვლება სახეს და იზრდებოდა საბჭოთა ადამიანი. ისტორიაში ყველაზე დახელოვნებული ხუროთმოძღვარი — ჩვენი პარტია შეუპოვრად და ბეჯითად ძერწავდა მასში იმ შესანიშნავ თვისებებსა და ნიშნებს, რომლებითაც აფოფრთოვანებულია დღეს მთელი მსოფლიო. ამ უზარმაზარი შემოქმედებითი მუშაობის სამშენებლო მოედანი გახდა მთელი ჩვენი უკადეგანო ქვეყანა, ხოლო საწყისი მასალა — ის, რაც თან მოიტანეს მოძმე ხალხებმა თავისუფალი რესპუბლიკების ერთიან კავშირში. დამკვიდრდა და რეალობა გახდა ახალი ადამიანი. დაკვირვით, ამხანაგებო, ჩვენი თანამედროვეს ნიშნებს! ეს არის რევოლუციონერი, ნოვატორი თავისი სულისკვეთებით და ფიქრებით. ეს არის ინტერნაციონალისტი, რომელმაც ორგანულად შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო. რაც საუკუნეების მანძილზე ეროვდებოდა მშრომელ ადამიანებში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს არის აღმშენებელი, რომლის სასიცოცხლო მოთხოვნილება გახდა შემოქმედებითი შრომა. ეს არის თავისი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლი! (ტაში).

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ საქმიანობას მთლიანად რომ უქვემდებარებენ საბჭოთა ადამიანების ინტერესებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამაში ხედავენ თავიანთ უმაღლეს მოწოდებასა და დანიშნულებას.

იმ ღონისძიებათა საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა და მოწონება, რომლებსაც პარტია ახორციელებს ხალხის მიერ დასახული კურსის შესაბამისად, პარტიას მატებს ახალ ძალებსა და არჩეული გზის სისწორის რწმენას. თავისი ნამდვილად სახალხო სანშნაო და საპატიო ადგილი ეჭირა ომის „ცივი ომის“ ყოფილ ყოფილ ომებს. ნათლად ბოლშევიზტი და თანდათანობით საცნაური ხდება, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისათვის, სინამდვილეში ვინ ეწინააღმდეგება ამ პროგრესს, და ვინ ეიდგება ამას.

ჩვენ ვამაყობთ, ამხანაგებო, იმით, რომ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში ახლანდელ შემობრუნებას, ჭიშპიდან თანამშრომლობისაკენ შემობრუნებას, მსოფლიო საზოგადოებრიობა აფასებს როგორც ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამარჯვებას და განუყოფელად უკავშირებს მას ჩვენი პარტიის, სკკ ცენტრალური კომიტეტის, მისი გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივას (ხანგრძლივი ტაში). საბჭოების ქვეყნის, კომუნისტური პარტიის როლის, პლანეტაზე ეროვნული კლიმატის გაუმჯობესების საქმეში ეექვემდებარება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ჰუმანურ მიზნებს.

ამ ბოლო დროის მოვლენები იმამაჯერებლად მოწმობენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსს. სკკ XXIV ყრილობის მიერ შემოშავებულ მშვიდობის პროგრამას ფართოდ უჭერენ მწარს მსოფლიოს ყველა კუთხეში. ვიეტნამში ომის შეწყვეტა. ევროპაში ვითარების ნორმალიზაცია, სრულიად ევროპის თანაბარი მოშაობის დაწყება, ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების დადება, პირველი მიოწეევები სტრატეგიულ, გამაფრთხილი შეიარაღების შეზღუდვაში, საზღვარგარეთ საბჭოთა ხიმძღვანელების ვიზიტების წარმატებითი შეიოგიები — აი ის ძირითადი საქმეები. რომლებშიც ხორცს ესხამს ჩვენი პროგრამა, აი მისი თვალსაჩინო ოა უდავო შედეგები და თუმცა მსოფლიოში ჯერ კიდევ რჩება იმპერიალიზმის მიერ შექმნილი ცხელი წერტილები და მუქავე საკონფლიქტო სიტუაციები. და ბრსებობენ ძალები, რომლებიც ირესიას ასაზრდოებენ, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო კავშირის ძალას. (ტაში).

ამხანაგებო!

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ისტორიულ გადატრიალებს საოფიციალოდ ოდიეს სსრ ენინ ხალხთა ორდენი მეგობრობა. მათი ერთობლივი გმირული მეცადინეობა. ხალხთა მეგობრობის ორდენით რუსეთის ფედერაციის დაჯილდოდა ვიდევ ერთი ალიგრებაა საბჭოთა რუსეთის მშრომელთა დამსახურებისა სოციალიზმის და კომუნიზმისათვის ბრძოლაში, მათი დიდი წვლილისა ჩვენი ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. (ტაში).

ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება:

„რუსეთის ფედერაციის მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში, დიდი წვლილისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით“. (ქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

ძვირფასო ამხანაგებო!

სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ნება მიბოძეთ კიდევ ერთი ალიგრებაა საბჭოთა რუსეთის მშრომელთა დამსახურებისა სოციალიზმის და კომუნიზმისათვის ბრძოლაში, მათი დიდი წვლილისა ჩვენი ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. (ტაში).

ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება:

„რუსეთის ფედერაციის მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში, დიდი წვლილისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით“. (ქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

ძვირფასო ამხანაგებო!

სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ნება მიბოძეთ კიდევ ერთი ალიგრებაა საბჭოთა რუსეთის მშრომელთა დამსახურებისა ეროვნული ეროვნების ინტერნაციონალიზმის და კომუნიზმისათვის ბრძოლაში, მათი დიდი წვლილისა ჩვენი ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. (ტაში).

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი სახელით, რუსეთის ფედერაციის ყველა მშრომელთა სახელით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მხურვალე ეულსურვოთ ჯანმრთელობისათვის, ამ ქვეყნად მშვიდობისათვის მის უდიდეს შრომაში. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო!

რუსეთის ფედერაციისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა ეს რესპუბლიკის მშრომელთა დამსახურების მარტო აღიარება კი არა მომავლის გარკვეული ალანსიც არის.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა სკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები თავიანთ ძალღონეს, მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას. (ხანგრძლივი ტაში).

ვაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს-მშვიდობისა და სოციალიზმის ბურჯს! (ხანგრძლივი ტაში).

ვაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობას! (ტაში).

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

* * *

საზეიმო სხდომაზე გულწრფელი სიტყვები წარმოთქვეს: ლენინგრადის კიროვის ქარხნის ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, დეპუტატმა ბ. ბ. ვარობიოვმა, ალტაის მხარის ზავიალოვოს რაიონის კოლმეურნეობა „ზარია ალტაის“ ტრაქტორისტმემანდერეთა ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა, დეპუტატმა ნ. ვ. დერგალოვმა, დეპუტატმა პოეტმა მ. ჭარიმმა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ა. გუსევამ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკადესი).

ოფიციალური განცხადება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სანაღმო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებულებიდან

კომისიაში

ვაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სანაღმო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებულებიდან. ამ ბრძანებულებიდან ... ...

საერთაშორისო დღე

ამბები, ფაქტები, პრობლემები

სოფია — **მ. ოსკოვის კონგრესის შესახებ**

31 ივლისი. (საკდესი). „მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის მსოფლიო კონგრესისათვის მზადება მიმდინარეობს ვითარებაში, როცა საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული კონსტრუქციული პოლიტიკისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პირადი დამსახურების მეოხებით ხოცვალსტური ქვეყნებისა და ევროპის მთელი პროგრესული და რეალისტურად მოაზროვნე ძალების მხარდაჭერით მიღწეულია სერიოზული პოზიტიური ცვლილებანი, — წერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი გ. პირინსკი გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“. — მიმდინარეობს შემობრუნება „ცივი ომის“ და საშიში დაძაბულობის პოლიტიკიდან გონივრული ღონისძიებებისაკენ მშვიდობის განსამტკიცებლად და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განსაკითხებლად“.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ შემობრუნებას საერთაშორისო ურთიერთობაში დიდად შეუწყო ხელი ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, რომლებსაც სამართლიანად უწოდებენ ისტორიულ მოვლენებს.

კარიზი — **ურთიერთობის განვითარებისათვის**

31 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ფართო განვითარებას დაუბერა მხარი საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ედგარ ფორმა, როცა საფრანგეთის ტელევიზიის პირველი პროგრამით გამოვიდა სსრ კავშირში თავის ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით.

„ჩვენ თანაარსებობის ახალი ფაზა გვეწყება, — განაცხადა ედგარ ფორმა. — საქმე ეხება ნამდვილ თანამშრომლობას, კეთილდ, საგარეო ვაჭრობაში“.

საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესება რადიკალ ამცირებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

დასასრულ ედგარ ფორმა აღნიშნა, რომ საფრანგეთ-სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარება მას „დიდ ემედებს“ უსახავს.

ბონი — **ბერლინი, 30 ივლისი. (საკდესი სპეც. კორ.). პალატის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ახალგაზრდათა და სტუდენტთა მე-10 მსოფლიო ფესტივალის მეორე დღეს გამართულ მასობრივ მიტინგებსა და შეხვედრებზე განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაძლიერონ სოლიდარობა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხებთან და ახალგაზრდობასთან.** ფესტივალის ასობით დელეგატი შეიკრიბა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საფესტივალო ცენტრი. „ახალგაზრდობა და სტუდენტები ამხელენ იმპერიალიზმს“. აქვე დაიწყო მუშაობა საერთაშორისო ფოტოგამოფენამ ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულის შესახებ. ბერლინის კონგრეს-ჰალში, სადაც განლაგებულია ფესტივალის ორგანიზატორთა ეროვნული კლუბი, გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის მეგობრული შეხვედრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციებთან.

ასზე მეტი ფილმი, რომლებიც აუჩვენეს სხვადასხვა კონტინენტის ახალგაზრდათა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლასა და ცხოვრებას, ჩამოიტანეს ბერლინის ფესტივალზე 44 ქვეყნის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა. მათ უჩვენებენ კინოფესტივალის „ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ტრიბუნის“ ფარგლებში, რომელიც გუშინ დედაქალაქის ერთ-ერთ კინოთეატრში გაიხსნა.

ინდოჩინეთის ხალხებთან სოლიდარობის მიტინგი — ფესტივალის მეორე დღის მთავარი მოვლენა — დაიწყო ეკვე გვიან საღამოს, როცა ბერლინის ცა მოიქუფდა ვარსკვლავებით და მთელი მოედანი გაიჩითეს პროჟექტორებმა.

მიტინგს დაესწრნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რ. ჩანდრა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი რ. ვიეცი, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი დ. ულრიკა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით მიტინგის მონაწილეებსა და სტუმრებს გულითადად მიესალმა გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველი მდივანი გ. ანი.

მიტინგის ათი ათასზე მეტი მონაწილე მისასალმებელი შეძახილებით და ტაშით შეხვდა ორატორებს — ინდოჩინეთის გმირი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

შემდეგ გამოვიდა ფესტივალზე წარმოგზავნილი საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი. იგი შეერთებულ მიესალმა საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით და ინდოჩინეთის ახალგაზრდობას აღუთქვა, რომ საბჭოთა ხალხი უშერდა, უშერს და კვლავაც დაუჭერს მხარს ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა სამართლიან ბრძოლას.

ბერლინი, 30 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ფესტივალის მესამე დღე მიეძღვნა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის მებრძოლი არაბული ქვეყნების ხალხებთან და ახალგაზრდობასთან სოლიდარობას. ამ დღის ფინალი იყო საღამოს გამართული მასობრივი მიტინგი ლუსტგარტენის ბაღში. მიტინგამდე კი გაიმართა მრავალი შეხვედრა და დისკუსია ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის აუდიტორიებში, აგრეთვე ეგვიპტის, ალჟირის, ეთიოპიის ახალგაზრდობის, პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენლების ეროვნული კონცერტები ღია ესტრადებზე ქალაქის ცენტრში.

საერთაშორისო სტუდენტთა კლუბის შენობაში გაიხსნა ახალგაზრდა ტალანტების სახლი. რა პრობლემები აინტერესებთ კლუბის წევრებს, 120 ქვეყნის სტუდენტთა წარმომადგენლებს? უწინარეს ყოვლისა ეს არის განათლების დემოკრატიზაცია, ბრძოლა. სტუდენტთა უფლებებისათვის, სტუდენტთა ინტერესებისა და მსოფლიოს მთელი დემოკრატიული ახალგაზრდობის ინტერესების გაერთიანების პრობლემები. სტუდენტებს ნაკლებად როდი აინტერესებთ მე-20 საუკუნის მეცნიერების განვითარების საკითხებიც.

ფესტივალის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰკავს უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო ცხრილს. ეს ბუნებრივია: ბერლინში ჩამოსული ახალგაზრდობა ეუფლება იმპერიალისტური აგრესიისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ძნელ საქმეს, ერთმანეთს უზიარებს მკაცრი მასობრივი ბრძოლების გამოცდილებას, უშუალოდ ეცნობა იმას, თუ როგორ მონაწილეობს სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა თაობა ახალი, ისტორიაში ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლობაში.

ფესტივალის მესამე დღეს თავიანთ კონფერენციებს განაგრძობდნენ პროფკავშირთა ახალგაზრდა აქტივისტები, აგრეთვე ქალაშვილები და ჭაბუკები, რომლებიც იკვლევენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემებსა და მასთან დაკავშირებულ ახალგაზრდობის როლს.

და როგორც ყოველთვის, ბერლინში ყველგან გაისმის მუსიკა და სიმღერები. მრავალ ღია ესტრადასა და საკონცერტო სცენაზე ამართება ფესტივალზე პოპულარული „გალა-კონცერტები“, სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ახალგაზრდა მოღვაწეთა გაერთიანებული გამოსვლები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდული ანსამბლების მხატვრული პროგრამები.

დარბაზში, რომელიც გერმანელი ანტიფაშისტი სპორტსმენის ვერნერ ზეელენბინდერის სახელს ატარებს, მუშაობას გააწარმოებს საერთაშორისო სპორტული კლუბი, რომელსაც მეთაურობს სახელგანთქმული საბჭოთა მოკრივე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის ლაგუტინი. წინა დღით იმავე ვერნერ ზეელენბინდერ-ჰალეში დაწყებული პოლიტიკური სიმღერის საერთაშორისო კონკურსმა დღეს ბერლინის მოედნებზე და პარკებში გადაინაცვლა. მისი დევიზია ბ. ბრეჰტისა და გ. ეისლერის მიერ დაწერილი გერმანიის მუშათა კლასის პოპულარული სიმღერის სტრიქონები — „წინ, წინ და არ დაიგიწყოთ სოლიდარობა!“, რომელსაც პოპულარობა მოუტანა ე. ბუშის შესრულებამ.

ეოვიდოგა, ეეგოგზროგა

ახალგაზრდათა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალი

ბონი — **ეროვნული ბიბლიოთეკა**

ბონ. ბონ-ბადენ-ბადენ ... ეროვნული ბიბლიოთეკა. მაგრამ ამდენი მეოდუბა, რაც ახლა გამოჩნდა სანაპიროსთან, იაპონიის ყველაზე უხუცესი მცხოვრებთაც კი არ ახსოვთ. სავამის ყურე პირდაპირ დღეს მეოდუბების სიმრავლისაგან.

ამ ამბავმა პირველ რიგში დააზარალა ბანაობის მოყვარულნი. რამდენიმე კაცმა ძლიერი დამწვრობა მიიღო. მეოდუბებს მეორე ტალღა შეიწოვა უზარმაზარმა ბილმა, საიდანაც კომპანია „სიგენ კაიჰაცუს“ ელექტროსადგური იღებს წყალს, ყველა ფილტრი დაბშელი აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება ერთი მესამედით შემცირდა. ელექტროსადგურის მუშა-მოსამსახურენი სასწრაფო ზომებს იღებენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მეოდუბების ახალი შემოსევა.

ცრემლები... ჩამოსასხმელად

იტალიის ქალაქ ასიზის მცხოვრებლებს შორის ხმები გავრცელდა, თითქოს ადგილობრივ ეკლესიაში დადგმულ მადონას ქანდაკებას ცრემლები წამოუვიდა. ათასობით მორწმუნე მიაწყდა ეკლესიას, რათა თავიანთი თვალით ეხილათ „სასწაული“. ორი ახალგაზრდა ღვთის მსახური საკმაოდ მარჯვედ ვაჭრობდა „სასწაულთმოქმედი სითხით“.

ეკლესიის კართან დღითიდღე მატულობდა მორწმუნეთა რიცხვი. ხმები „აცრემლებული მადონას“ შესახებ ქალაქიდან დიდ მანძილზე დამორებულ ადგილებშიც კი გავრცელდა. „სასწაულით“ დაინტერესდა აგრეთვე პოლიცია, რომელმაც სულ ადვილად დაადგინა ელემენტარული თაღლითობა. ქანდაკების თვალის ფოსოებთან შიგნიდან შეერთებული იყო ორი რეზინის მილი, საიდანაც მოწვეთავდა ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

უამინდობა რაინის ხეობაში

ძლიერი წვიმა და სეტყვა დაატყდა თავს კვირას მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს რაინის (გფრ) ხეობაში. უამინდობის შედეგად მეღვინეობის რაიონებს მოუვდათ ზარალი, რომელიც, პრესის შეფასებით, მილიონობით მარკას აღწევს. დასახლებულ პუნქტებში დაიტბორა ქუჩები. მთლიანად შეწყდა მოძრაობა ავტოსტრადაზე, რომელიც გადის რაინის გასწვრივ.

კატასტროფა შახტში

დერბიშირის საგრაფოში (ინგლისი) მარკჰენის შახტში დაიღუპა 12 მაღაროელი, რომლებიც იმყოფებოდნენ ძირს ჩავარდნილ გალიაში. უბედურება მოხდა დღეს, როცა მეშახტეთა ლილის ცვლა ჩადიოდა სამუშაოზე. სულ გალიაში 28 კაცი იყო. გადარჩენილები ძლიერ დასაზიანებლნენ.

წითელ ეპიდემია ბრაზილიაში

100-ზე მეტი ბავშვი იმსხვერპლა წითელას ეპიდემიამ, რომელიც ბრაზილიის მინასჟერაისის შტატში დაიწყო.

ეპიდემიის რაიონებში იგზავნება ანტიბიოტიკები, ვაქცინა და კვების პროდუქტები. „მაგრამ ავადმყოფი ბავშვები იმდენად დაუძლურებული არიან განუწყვეტელი მიმშილის შედეგად, — უთხრა ჟურნალისტებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, რომ გაჭირდება ექიმების დახმარებითაც კი მათი ფეხზე დაყენება“.

სტიქიის შედეგად

□ 5 კაცი დაიღუპა, 15 უკვალოდ დაიკარგა და 20-ზე მეტი დასახიჩრდა კიუსუს კუნძულის ფუკუოკის პრეფექტურაში კოკისპირული წვიმებით გამოწვეული ჩამოქცევების შედეგად. დღეს კიუსიუს ჩრდილოეთ ნაწილში მოვიდა 100-დან 150 მილიმეტრამდე ნალექი.

□ განზი და ჯამუნა ადიდდა განუწყვეტელი კოკისპირული წვიმების შედეგად და წალეკა 60 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. წყალდიდობამ დაუზარალა ნახევარ მილიონზე მეტი მცხოვრები. ზოგიერთ რაიონში წყლის დონე კვლავ მატულობს.

საკდესის, ახალი ამბების საკაგენტოსა და უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშინგტონი — **მოლაპარაკების დამთავრდა**

31 ივლისი. (საკდესი). ვაშინგტონში დამთავრდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონსა და ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ გ. უიტლემს შორის, რომელიც არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება აქ. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, მხარეებმა განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა, აგრეთვე აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების პრობლემები. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი.

□

დელი — **ტრაქტორები — სოფელს**

31 ივლისი. (საკდესი). პირველი ტრაქტორი გამოუშვა ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის საწარმომ — გუჯარათის შტატის სატრაქტორო ქარხანამ. გამტრვიდა რა საზეიმო ცერემონიაზე ამის გამო, გუჯარათის მთავარმა მინისტრმა ი. პატელმა აღნიშნა, რომ შტატის მთავრობა ყველა შესაძლო ღონისძიებას ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

□

პრეზიდენტი — ბაკურიანი

ნიკოზია, 30 ივლისი. (საკდესი). ბერძენი გენერლის გრივასის ტერორისტული ჯგუფების წევრებმა, რომლებიც ცდილობენ კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან, წუხელ ცეცხლი დაუშინეს პრეზიდენტ მაკარიოსის საზაფხულო რეზიდენციას.

როგორც გაზეთი „ეთნოსი“ იუწყება, ამ პროვოკაციის დროს მაკარიოსი რეზიდენციაში არ ყოფილა.

ნიკოზია — **წინასწარი უედეგები**

30 ივლისი. (საკდესი). გამოცხადებულია წინასწარი შედეგები კვიპროსში ფეთქდება ბომბები. ბომბრენი გენერალ გრივასისა, რომელიც არალეგალურად იმყოფება კუნძულზე, ცდილობენ ტერორისტული აქტების გზით შექმნან შიშისა და მერყეობის ატმოსფერო და ამით ჩაშალონ პრეზიდენტ მაკარიოსის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქვეყნის მდგომარეობის გაჯანსაღება.

გრივასის იატაკქეშეა ჯგუფების დივერსიის ობიექტი კვლავ გახდა პოლიციის უბნები, დაწესებულებები, აგრეთვე სახლები, რომლებშიც ცხოვრობს ზოგიერთი მინისტრი და სახელმწიფო მოხელე.

კვიპროსის პოლიცია კვლავ ეძებს იუსტიციის მინისტრს ქ. ვაკისს, რომელიც 27 ივლისს გრივასის ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა მოიტაცეს.

კვიპროსის მთავრობა ახორციელებს აქტიურ ღონისძიებებს რეაქციის გამოხდომების აღსაკვეთად. 27 ივლისს ლამით ნიქოზიაში მოაწყეს ჩხრეკა-დაპატიმრებანი, რომელთა დროს დაიკავეს 21 კაცი.

ვაშინგტონი — **ეროვნული ბიბლიოთეკა**

ვაშინგტონ. ... ეროვნული ბიბლიოთეკა. ... ამ პერიოდში ... ...

საქართველოს ჟთა-ბაზრები

საქართველოს რაიონებში

მარნეული

ბუატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე.

ახლახან ავშენდა **ძალაძეს** ცენტრი დაამშვენა ახალმა ადმინისტრაციულმა შენობამ, რომელშიც სამუშაოდ გადავიდნენ პარტიის რაიკომი, რაიისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველო და სხვა დაწესებულებები. შენობა საძართულიანია, აგებულია ტიპური პროექტით, აქვს კეთილმოწყობილი ეზო.

ხაექსკლოატაციოდ გადაეცა ორი საცხოვრებელი სახლი. 50-ზე მეტმა **იხაროს ჭერმა...** ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. ერთი სახლი შულავერიან ქეჩიხ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს ეკუთვნის, მეორე — კომუნალურ მეურნეობას.

ახლო მომავალში მშრომელები კიდევ ერთ საცხოვრებელ სახლს მიიღებენ.

სკვერი ალგეთის პირას **ამ გოლო** ხანებში დიდი ყურადღება ექცევა რაიონის ცენტრის კეთილმოწყობას. ლენინის სახელობის მოედანმა, რომლის გაშენება არც თუ ისე დიდი ხანია დამთავრდა, ახალი იერი მისცა აქაურობას. ახლა მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე მიმდინარეობს სკვერის მოწყობა. ასეთი სკვერი მდინარის მარჯვენა ნაპირზე უკვე არსებობს. ეს ადგილები მშრომელთა დასვენების ჩინებულ კერებად იქცევა.

ქურთუკები ბავშვებისათვის

დღემდე ტყავის ფაბრიკებში ნარჩენებს ვერ იყენებდნენ და ნადგურდებოდა. ახლახან შეიქმნა საწარმო, რომელიც გადამუშავებს ნარჩენებს და მისგან დაამზადებს მამაკაცის კოსტიუმებსა და ბავშვების ქურთუკებს. საწარმო, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, უკვე მზად არის. მისი წლიური წარმადობა იქნება 290 ათასი მანეთის პროდუქცია. შემდგომ კი ეს სიმძლავრე ერთიორად გაიზრდება.

მშენებლობის პროცესშია მეორადი გადამუშავების ფაბრიკაც, რომელიც შალის ნარჩენებისაგან გამოუშვებს საგალანტერიო ნაწარმს.

სკოლა ქასუმოში **დიდად** გაიხარეს სოფელ ქასუმოს მოსწავლე-ახალგაზრდებმა — მომდინარე სასწავლო წელს მათთვის აშენდა სკოლის ახალი შენობა. იგი გათვალისწინებულია 900 მოსწავლისათვის.

კავკასიის მაღალ ქედზე...

მხატვრის საახელოსნოში



უფრო ადრე, ვიდრე ბერძნები პრომეთეს კავკასიონზე მიაჯაჭვავდნენ, იბრძოდა და ჯოლეთში არსებობდა მითი ამირანზე. იმასაც ამბობენ, რომ ბერძნებმა არა მარტო ოქროს საწმისი გაიტაცეს ჯოლეთიდან, რომელშიც, უფრო სავარაუდოა, ოქროს მოპოვების წესი უნდა ყოფილიყო დაწერილი და მიუთითებდა ჩვენი წინაპრების დამწერლობითს ოსტატობაზე, არამედ ლეგენდა ამირანზეც.

დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ მიუთითებდა ამ შესაძლებელი სესხების შესახებ და იმასაც აღნიშნავდა, რომ ამირანში ნათლად იკრნობა ქართული ფილოსოფიამდელი პირველსაწყისები. აქ აისახა სამყაროს „დიადი წესრიგი“. როგორც დემოკრიტი იტყოდა, მსოფლიოს ელემენტთა მოძრაობა, ეკვესლის, წყლის, ჰაერისა და მიწის კავშირი. ამირანში პირველია შუმერულ ეპოსთან „გილგამეშთან“ შესების წერტილები. თავი რომ დავანებოთ ამ რთულ ფილოსოფიურ წიაღსვლებს, ამირანი არის ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარე, ჯაბაკიური სულის განსახიერება.

ჩვენი პოეტური მუზა მუდამ დიდი შთაგონებით წარმოსახავდა მას. რაჰასა და ხვანთში ამირანს უმღერიან საფერხულო ჰიმნებს. ხევსურებმა ერთ მაღალ, თვალშეუდგამ მთას დაარქვეს ამირანის სახელი. ვის არ გაგვიგონია ‘მამაცი ჭონადირისა და ნადირობის მფარველის, დალის საყვარულის სევდიანი ლეგენდა, როგორ წარმოქმნა ოქროსთმიანმა ღვთაებამ ამირანი...

მხოლოდ შემოქმედს შეუძლია მიეახლოს ან ასეთ წმინდა ერთვნულ რელიკვიას, შეახოს მას ძლიერი ხელი, მაგრად დააყრდნოს მიწაზე გმირის ფოლიბთური ხხეული, ჩასტიოს მის კაცურ მოდელში ამმოხეტბული სული თავისი ტკივილებით, ლტოლვით, თავგანწირვით, იმედებით.

მოქანდაკე პეტანგ ონიანმა შექმნა ამირანის 12-მეტრიანი ქანდაკება. ახლა იგი ერთ პატარა ეზოში მაღალ ხეებსა და სახლებს შორის დგას. ამ ეზოში ფიგურას თითქოს ჰაერი არ ჰყოფნის, ვერც გამჭრიახი მზერა სწვდება შორეულ სივრცეებს, ირგვლივ ფერად-ფერადი სახურავები შემოჯარვია... კიდევ ცოტა ხანი და ამირანს, რომელსაც ცალ ხელში სასწაულმოქმედი ხმალი უპყრია (მზის სიმბოლოთი დამშვენებული) და მეორეში ეკეცხლის ჩირაღდანი, სვანეთში ცხენისწყლის ნაპირზე, მთაზე აღმართავენ. იმ სიმაღლიდან თვალს გაუსწორებს თეთნულდს და უმბას, ღრუბლებსა და ბებერ კოშკებს. ვახტანგ ონიანმა ამირანი წარმოსახა არა ბორკილგაყრილი, დამარცხებული და კლდეზე მიჯაჭვული, არამედ აღზევებული და ბრძოლის წყურვილით ანთებული, როცა იგი ჭაბა-ქუხილის ღმერთს ელიას შეერკინა, ფეხი მოსტეხა და ბაბაეი, ხოლო ციდან დედამიწაზე გამოიტანა მისი მზეთუნახავი ქალი ყამარი —განსახიერება ზეციური ეკეცხლისა და სინათლისა.

ვ. ონიანის შემოქმედების შესახებ ამ ცოტა ხანებში ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ დღევანდელი ნამუშევარი — ამირანის ქანდაკება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ხადაც თითქოს შენივთდა მთელი მისი შესაძლებლობანი, განზოგადების უნარი და ახალ ასპექტში გამომჟღავნდა მოქანდაკის ნიჭის დიაპაზონი. ჯერ, რა თქმა უნდა, ძნელია დაბეჯითებით ვილაპარაკოთ ამირანის ბრატგრულ ღირსებებზე, ვიდრე იგი დიდ სამსჯავროზე არ გამოვა, მაგრამ ერთი არ შეიძლება არ აღინიშნოს — ქანდაკებაში იგრძნობა ქართული კაცის პოტენცია, სულიერი სილამაზე.

ვახტანგ ონიანი დაკვირვებული, მოაზროვნე შემოქმედია და იცის, რა ძალა აქვს ხელოვნების ნაწარმოებს, როცა იგი ადამიანთა ყოფაში, მათ გვერდით თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს და შეასრულებს იმ კეთილშობილ მისიას, რომელიც მხატვრმა წინასწარ განჭვრიტა.

მართალია, ყველაზე ძნელი და შრომატევადი სამუშაო უკან დარჩა, — გვითხრა ვახტანგ ონიანმა, — მაგრამ მთელი ჩემი ფიქრი კვლავ თავს დასტრიალებს ამირანს. როგორ წარიმართება მისი შემდგომი ბედი, როგორ შეეხსნებორეება იმ გარემოს, სადაც აღმართავენ და მიუჩენენ თავის კუთვნილ ადგილს. ახლა მთავარია შეიყვარებენ თუ არა ადამიანები ამირანს — დაინახავენ თუ არა მასში ის ბმირს, რომელიც ჩვენი ხალხის დაუშრეტელ ფანტაზიას შეუქმნია. ამას, რა თქმა უნდა, დრო დამტკიცებს.

ნანა ჯაფარიძე.

ხარაზეზ: მოქანდაკე ვახტანგ ონიანი თავის ნამუშევართან.
ფ. ბიბილაშვილის ფოტო.

ჭიდრაკი

პეტროპოლიზის საზონათაშორისო

რიო-დე-ჟანეიროს, 31 ივლისი. (საკდხა). ბრაზილიის ქალაქ პეტროპოლისში მიმდინარე საერთაშორისო საშაქრაკო ტურნირის მეექვსე ტურის ცხრა პარტიიდან მხოლოდ ერთი არ დამთავრებულა რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში. გელერმა და ბრონშტეინმა გადადეს თავიანთი დავა.

იუგოსლაველმა გროსმაისტერმა ლუბოეევიჩმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა ამჯერად ჰორტზე. მეკინგმა დაამარცხა რეშევსკი, კავანმა—ტანი, ჰუვმა წაიგო პორტიშთან.

ოთხი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ქულები „გაიყვეს“ ბაილასმა — კერესთან, სმისლოვმა — პოლუგაევსკისთან, გეორგიუმ — საეოსთან, ოკოვმა — პანოსთან.

ტურნირის წინანდებურად ლიდერობს ლიუბოეევიჩი — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. პოლუგაევსკის ოთხი ქულით მეორე ადგილი უკავია. მეკინგი და პორტიში იყოფენ მესამე-მეოთხე ადგილებს.

ცურვა

ოქროს 6 მედალი

22 წლის მოსკოველმა ვლადიმერ ბურემ როსტოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. განსაკუთრებით კარგად ისახელა თავი ბურემ შეჯიბრების ბოლო დღეს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 4.06.3. ეს შედეგი 0,1 წამით აღემატება მისივე საკავშირო რეკორდს.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

30 ივლისს ვილნიუსში გამართული „სპორტლოტოს“ ტირაჟის შედეგები: 27 (მოტოსპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 48 (ჭადრაკი), 45 (ფეხბურთი), 31 (ცურვა), 36 (ხლალომი). (საკდხა).

მძლეოსნობა

ლაქაგულ ბრძოლაში

ამერიკელმა სპორტსმენებმა ოდესაში მოიგეს ორდღიანი მძლეოსნური მატჩი სხრ კავშირისა და აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის — 194:182. ჩვენმა გოგონებმა გაიმარჯვეს 74:71, ხოლო ჭაბუკებმა წაიგეს — 108:123.

ხტუმრებმა შეჯიბრების მეორე დღეს გაიმარჯვეს 400 მეტრზე თარჯვები (ჯორჯ ჰეილი —51,5 წამი), 200 მეტრზე გოგონათა (როზალინ ბრაიენტი — 24.6) და ვაუთა (რეი ხაგს კარტერი — 21,3) შორის.

ჩვენი მძლეოსნები კარგად გამოვიდნენ სიმაღლეში ხტომაში. გოგონებში უძლიერესი იყო ნადეჟდა ოსკოლოკი — 170 სმ, ხოლო ჭაბუკებში — ვიტორ კაშჩეევი — 215 სმ.

შუბის ტყორცნაში 74 მეტრითა და 76 სანტიმეტრიან პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ულდის დონინში, ბადროს ტყორცნაში — ნოვოსიბირსკელი გალინა გლაზოვა — 53 მეტრი და 58 სანტიმეტრი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

I პროგრამა

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — დოკუმენტური ფილმი, 11.15 — მხატვრული ფილმი „აღდგომა“ (I სერია), 12.50 — ფერადი ტელევიზია. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალზე (გადმოცემა ბერლინიდან), 16.30 — ბავშვებისათვის. უნგრული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ეკლიანი ცისკენ-სიმაგრე“. III სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „საუბარი აღზრდაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — კინონარკვევი, 17.55 — სატელევიზიო დადგმა „ეე შენ მიყვარხარ“ (II ნაწილი), 18.50 — ახალი ამბები, 18.55 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 19.20 — განცხადებები, 19.25 — კინონარკვევი, 19.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.55 — კონცერტი „ბზიური ჰეარის ხმები“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — შაბაშვილი საბჭოთა კავშირის ოსსუ — ნახევარფინალი (II ტაიმი) დნეპროპეტროვსკი „დნეპრი“ — „ურარტუ“ ერევანი (გადმოცემა დნეპროპეტროვსკიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ფერადი ტელევიზია. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალზე (გადმოცემა ბერლინიდან).

მეორე პროგრამით

19.05 — დოკუმენტური ფილმი, 20.05 — „კინოფიშა“, 20.35 — მხატვრული ფილმი „ცხოვრებისაკენ მობრუნება“ (II სერია).

გიწვევთ სასწავლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ტექნიკურ სასწავლებლებში 1973-1974 სასწავლო წლისათვის

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი (ობოლისი, ძმები გარშვილების ქ. № 9) **ამზადებს:** მეტროამშენებელ-გვირაბგამყვანებს, გვირაბგამყვანი მექანიზმების ზეინკალ-მემონტაჟეებს, გვირაბგამყვანი მექანიზმების ელექტრომემონტაჟეებს, შვმლესავ-მომპირკეთებელ-მეფილეებს, ზეინკალ-სანტექნიკოსებს, ხარატებს, საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს.

თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134) **ამზადებს:** ელმავალის მემანქანის თანაშემწეებს, სადგურის მორიგეებს, ელმავლის შემკეთებელ-ზეინკლებს, სამგზავრო მატარებლის ავტომუხრუჭების შემკეთებელ-ზეინკლებს, საკონტაქტო ქსელის ელექტრომონტიორებს, რკინიგზის მონტიორებს ავტო-მოტოდრეზინების მართვის უფლებით, ვაგონების შემკეთებელ-გამინჯველებს.

თბილისის № 32 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, რკინიგზის ქ. № 1) **ამზადებს:** ელექტრომავლების შემკეთებელ-ზეინკლებს, საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს, ელექტროზეინკლებს, ხარატებს.

ქუთაისის № 33 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12) **ამზადებს:** ზეინკალ-ელექტრომემონტაჟეებს, ელმანქანების შემკეთებელ - ელექტრომემონტაჟეებს, სამრეწველო დანადგარების ექსპლოატაციისა და მონტაჟის ელექტრომონტიორებს, ტელევიზორებისა და რადიომიმღებების დამყენებელ და შემკეთებელ მექანიკოსებს, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონების ქსელების ოპერატორებს, ელექტროგრშემდუღებლებს, ხარატებს, ზეინკლებს.

თბილისის № 35 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 60) **ამზადებს:** ქაღალის და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის მკერავებს.

თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, კომკავშირის II შესახვევი, № 22) **ამზადებს:** ხარატებს, მღარავებს, საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს, ელექტრომონტიორებს, რადიოაპარატურის და ხელსაწყოების მემონტაჟეებს.

თბილისის № 41 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, მოსკოვის პროსპექტი № 27) **ამზადებს:** ხორცის პირველად გადამამუშავებლებს, ძეხვის დამამზადებლებს, ყველის დამამზადებლებს, მაცივარ-დანადგარების მექანიკოსებს.

თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, ხუთწლედის ქ. № 65) **ამზადებს:** ტანსაცმლის მასობრივი წარმოების მკერავებს.

საბერიოს № 46 ტექნიკური სასწავლებელი (დ. საბერიო, გალის რაიონი) **ამზადებს:** კონსტრუქციის მემონტაჟე-ჯალატოზებს, მეარმატურე-მებეტონეებს, გვირაბგამყვანებს, შემლესავ - მომპირკეთებელ-მეფთილეებს, მღებავებს, განათების ძალოვანი ქსელების ელექტრომემონტაჟეებს.

თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 115) **ამზადებს:** ზეინკალ-ელექტრომემონტაჟეებს, საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს, მტვიფრავებს, სიჩარხო და საზეინკლო სამუშაოთა კონტროლიორებს.

თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, წერეთლის პრ. № 139) **ამზადებს:** ელექტრომანქანებისა და აპარატურის ზეინკალ-ამწყობებს, ზეინკალ-ელექტრომემონტაჟეებს, ელექტრომოწყობილობათა მომსახურე ელექტრომონტიორებს, განათების ქსელის ელექტრომონტიორებს, ზეინკლებს, ხარატებს, მღარავებს, ქალატოზებს, შემლესავებს, მღებავებს.

თბილისის № 65 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, ბოგრეთის ქ. № 8) **ამზადებს:** საფოსტო-სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირგაბმულობის ოპერატორებს, საქალაქო (ადგილობრივი სატელეფონო სადგურის მოწყობილობის ექსპლოატაციის, ტექნიკური მომსახურების შემკეთებელ-მონტიორებს, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურების მომსახურე მონტიორებს, ტელეგრაფისტებს ქალაქის სატელეფონო ქსელის საბონენტო გამართულობების მომსახურე მონტიორებსა და მეკაბელეებს.

ქუთაისის № 67 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 189) **ამზადებს:** ზეინკალ-ავტომშემკეთებლებს, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების შემკეთებელ ზეინკლებს, ტელევიზორებისა და რადიომიმღებების დამყენებელ და შემკეთებელ მექანიკოსებს, მამაკაცისა და ქალის ზედა ტანსაცმლის მკერავებს, ფოტოგრაფებს, მზარეულებს.

თბილისის № 74 ტექნიკური სასწავლებელი (ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 10) **ამზადებს:** მამაკაცისა და ქალის ზედა ტანსაცმლის მკერავებს, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების შემკეთებელ-ზეინკლებს, ტელევიზორებისა და რადიომიმღებების დამყენებელ მექანიკოსებს.

ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლა უფასო. მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ დადებითი შეფასება ყველა საგანში, ეძლევათ სტიპენდია თვეში 30-დან 37 მანეთამდე სასწავლებლის საბაზო წარმოების დარგის მიხედვით.

ახალგაზრდებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ შეფასება ფრიადი, 25%-ით უდიდდებათ სტიპენდია. გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევათ ფულადი ანაზღაურება ინდივიდუალურ-სათვის, რომლებსაც ესენი ასრულებენ საწარმო სწავლების პროცესში — სასწავლებლის სახელოსნოებსა და საწარმოში.

რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეები. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და საერთო საცხოვრებლით. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემოკლებული ვადით და სწავლების პერიოდში მიეცემათ სტიპენდია I თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის ოდენობით სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის მუშისათვის დადგენილი წესის მიხედვით. მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის მოქმედი პირობების (სტიპენდიით, უფასო კვებისა და ტანსაცმლის) ნაცვლად.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლების დრო ითვლება უწყვეტ მუშაობის სტაჟად.

სწავლის დამთავრებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოსწავლეებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ შესაბამისი ატესტატი.

ყველა მოსწავლე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთა მიღებული სპეციალობის მიხედვით საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების მივლინებით.

ის პირები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებლებს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცალკეულ ჯგუფებს, ეძნებათ სრული საშუალო განათლება და იმუშავებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით. უმაღლეს სასწავლებლებში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლებისათვის კოსკურსის გარეშე ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში წარმოებიდან მოწყვეტით ზემოაღნიშნული პირები სასწავლებლად მიიღებიან საერთო წესის საფუძველზე სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე.

ტექნიკურ სასწავლებელში სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან), სამუშაოს მოწმობა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიმართვა, სამი ფოტოსურათი ზომით (3×4).

სასწავლებელში შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ: პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მისაწერი მოწმობა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1973-74 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება
(II კურსზე საშუალო სკოლის ბაზა, ქართული სექტორი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტი — (სპეციალიზაცია — ბიუჯეტის შედგენა და შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი) ამზადებს ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

2. საბიუჯეტო აღრიცხვა — (მათ შორის რუსული ჯგუფი) ამზადებს ბუღალტერ-ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სასოფლო (სადგომ) საბჭოების (ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის.

3. სახელმწიფო დაზღვევა — ამზადებს ფინანსისტებს სახელმწიფო დაზღვევის განყოფილებებისათვის.

4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახბანკში — ამზადებს ბუღალტრებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისათვის.

5. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა შენახვის სალაროში — ამზადებს ბუღალტრებს და კონტროლიორებს შენახვითი სალაროებისათვის.

6. ბუღალტრული აღრიცხვა — ამზადებს ბუღალტრებს მრეწველობის (ალკეული დარგებისათვის (მანქანათმშენებლობის, ქვების, მსუბუქი მრეწველობის და სხვ.).

დაუსწრებელი განყოფილება
III კურსზე საშუალო სკოლის ბაზა, ქართული და რუსული სექტორი.

1. სახელმწიფო ბიუჯეტი
2. საბიუჯეტო აღრიცხვა
3. სახელმწიფო დაზღვევა
4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახბანკში
5. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა შენახვის სალაროში
6. ბუღალტრული აღრიცხვა.

განცხადებების მიღება დღის განყოფილებაზე 15 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა დღის განყოფილებაზე 15 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე—20 აგვისტომდე ქ. თბილისში, ტექნიკუმის გამოწვევის მიხედვით.

გამოცდები ორივე განყოფილების ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (ზეპირი), დღისა და დაუსწრებელი განყოფილების რუსულ სექტორზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) და მათემატიკა (ზეპირი).

მისაღები გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის ფრიადოსნები და მედალოსნები.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე შემსვლელთათვის საავალდებულოა სასწავლო პროფილის შესაბამისი სპეციალობით მუშაობა.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საქმიანი ცნობა ფ. № 286 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 4. სამი დამოწმებული სურათი (ზომით 3X4), 5. დღის განყოფილებაზე შემსვლელი პირები, რომელთაც აქვთ ორ წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, აგრეთვე დაუსწრებელ განყოფილებაზე, ყველა შემსვლელი ადგენს შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. დღისა და დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელმა ტექნიკუმში გამოცხადებისას თან უნდა იქონიოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი (თადარიგში მყოფმა), ან მიწერის მოწმობა (წვევამდელმა).

დღის განყოფილების მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის ფარგლებში.

მოსწავლეთა ჩარიცხვა ტექნიკუმში დღის განყოფილებაზე იწარმოებს 22 აგვისტოდან 24 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — 21 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, საბურთალო, მიცკევიჩის ქ. № 3ა (პავლოვისა და კოტოზოვის ქუჩების კუთხე) ტელეფონი: 36-55-69.

პირჩია, სად ისწავლი

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

1973-74 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას საბიბლიოთეკო და წიგნთსაქონელმცოდნეობის განყოფილებაზე

(სწავლა ქართულ ენაზე)

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს ბიბლიოთეკარისა და წიგნთსაქონელმცოდნის საშუალო კვალიფიკაციას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

გამოცდებზე დაშვებული მოქალაქენი აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით, შემდეგი საგნებში:

საბიბლიოთეკო და წიგნთსაქონელმცოდნეობის განყოფილებაზე: ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება), 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნეს სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით, შემდეგი საბუთების დართვით:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286. 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი (3×4), 5. ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. დახასიათება, 8. რაიონის კულტურის განყოფილების მიმართვა (საბიბლიოთეკო განყოფილებაზე), ის პირები, რომელთაც აქვს სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟი. წარმოადგენენ საწარმოოს ან დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — გამგეობის მიერ დამოწმებულ ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ; დაბადების მოწმობას, პასპორტს, ან სამხედრო ბილეთს.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ:

1. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — ოქროსა და ვეცხლის მედალოსნები, 2. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი თუ მან სამხედრო სამსახურში დაჰყვეს არანაკლებ ორი წლისა. 3. ის პირები, რომელთაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი. 4. რაიონის კულტურის განყოფილების მიერ მოვლინებულნი.

სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს მიეცემათ სახელმწიფო სტიპენდია საერთო წესით.

განცხადებები მიიღება ა/წ 5 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 6 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირა დღისა 3 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი — ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელ. 99-82-10.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

დამატებით აცხადებს სტუდენტთა მიღებას სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქების ქვეშოთ ნამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში

1. მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტში: პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნოლოგიის სპეციალობაზე; 2. ლენინგრადის ქალაღლისა და ცელულოზის მრეწველობის ინსტიტუტში: ცელულოზისა და ქაღალდის ტექნოლოგიის სპეციალობაზე; 3. ოდესის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის სპეციალობაზე; 4. ოდესის საზღვაო სასწავლებელში: გემების ძალოვანი დანადგარების სპეციალობაზე; 5. კიევის კვების მრეწველობის ინსტიტუტში: სამდღეღრო ნაწარმის სპეციალობაზე; 6. დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ბიოქიმიის სპეციალობაზე; 7. ივანოვის საფქვილრო ინსტიტუტში: საფქვილრო მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე; 8. ნოვოსიბირსკის კაშშირგაბმულობის ელექტრიტექნიკურ ინსტიტუტში: კავშირგაბმულობის და ეკონომიკის სპეციალობაზე; 9. სევასტოპოლის ხელსაწყოთმშენებლობის ინსტიტუტში: გაცვლისა და დამუშავების პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის სპეციალობაზე; 10. ასტრახანის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: იხტიოლოგიისა და თევზჭერის სპეციალობაზე; 11. ტალინინგრადის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: ხამრეწველო თევზჭერის სპეციალობაზე; 12. მინსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში: დიფექტოლოგიის სპეციალობაზე.

აბიტურიენტები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სათანადო სპეციალობებზე და მისაღებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას არა ნაკლებ „ოთხისა“ შეიძლება ჩარიცხულ იქნეს ზემოთ აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ უმაღლესი განათლების სამინისტროში ა. წ. 15 აგვისტომდე დღის ორ საათიდან (ოთახი № 39).

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-05, 99-03-09, ბ/ბ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პრობლემების — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფ